ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 10
ოქტომბერი
1981

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 10 (490) სექტემბერი 1981 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების წესის შესახებ.

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საალსრულებო სბუთებით გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგრიგობის თაობაზე.

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი ნაბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის სპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

განყოფილება მეორე

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. მ. იცკოვიჩისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მოსამსახურეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

კ. მარ[illegible] სახ. საქ. სსრ

1540235

227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოების მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. კოღონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ ქ. კ. ლაცაბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

233. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. მორჩაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. სხირტლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. შამათავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

236. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ტ. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

237. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

238. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქალაქო გაზეთ „ტყიბულის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

239. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. მ. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

240. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. მ. დიასამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

241. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

242. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა** სსრ კავშირის მცირე თეატრის საქართველოს **სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების **შესახებ.**

243. **ბრძანებულება საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმისა** სსრ კავშირის მცირე თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ **კომისიებში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

219 საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების წესის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ" სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლებისა და ენის მიუხედავად, მათი შუამდგომლობით შეიძლება მიღებულ იქნენ საქართველოს სსრ მოქალაქეებად და ამით სსრ კავშირის მოქალაქეებად.

2. საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ საკითხის განხილვა ხდება დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ იმ პირთა განცხადებები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, შეაქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ განცხადების შეტანისას საჭიროა მათი თანხმობა, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა იყოს გამოხატული.

საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ განცხადებები შეიტანება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე.

3. საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ განცხადებათა გამო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა განცხადებები, რომელთა მოქალაქეობის შესახებ გადაწყვეტილება ადრე მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განსახილველად ეგზავნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

4. საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღებისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს გრძანებულებებს, ხოლო საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში იღებს დადგენილებებს.

საქართველოს სსრ მოქალაქეობის შეძენა ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების გამოცემის დღეს.

5. საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ შუამდგომლობათა გაფორმება, აგრეთვე საქართველოს სსრ მოქალაქეობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა ან დოკუმენტებში ცვლილებათა შეტანა ეკისრებათ შინაგან საქმეთა ორგანოებს.

6. საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების შესახებ განმეორებითი განცხადებები განიხილება წინა განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

7. საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების საკითხებზე განცხადებების განხილვის, სათანადო მასალების მომზადებისა და გაფორმების, აგრეთვე ამ საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა შესრულების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 3 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

220 სააღსრულებო საბუთებით გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგრიგობის თაობაზე

„სააღსრულებო საბუთებით გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგრიგობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 5 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 433-ე, 434-ე, 435-ე, 439-ე და 440-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 433. სააღსრულებო საბუთებით გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგი

თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის სააღსრულებო საბუთებით ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა განაწილდება გადამხდევინებელთა შორის ამ კოდექსის 434-ე—441-ე მუხლებით დადგენილი რიგის დაცვით.

ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნების მთლიანად დაფარვის შემდეგ.

თუ გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის მთლიანად დაკმაყოფილებისათვის, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული გადამხდევინებლისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად.

მუხლი 434. პირველი რიგის გადახდევინება

პირველ რიგში დაკმაყოფილდება მოთხოვნები ალიმენტის გადახდევინების შესახებ; მუშა-მოსამსახურეების მოთხოვნები, გამომდინარე შრომითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლებრივი ურთიერთობიდან; კოლმეურნეობის წევრთა მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობაში მათ შრომასთან; მოთხოვნები ადვოკატთა მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების თაობაზე; მოთხოვნები გასამრჯელოს მიცემის შესახებ, რაც ავტორებს ერგებათ ნაწარმოების გამოყენებისათვის, საავტორო მოწმობით დადასტურებული აღმოჩენისათვის, გამოგონებისათვის, მოწმობით დადასტურებული რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშისათვის; მოთხოვნები დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნულ მოთხოვნათა მთლიანად დაკმაყოფილების შემდეგ უნდა დაკმაყოფილდეს სოციალური დაზღვევის მოთხოვნები და მოქალაქეთა მოთხოვნები მათი ქონებისათვის დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 435. მეორე რიგის გადახდევინება

მეორე რიგში დაკმაყოფილდება მოთხოვნები გადასახადებსა და არასავალდებულო გამოსაღებებზე ბიუჯეტში; სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მოთხოვნები სავალდებულო დაზღვევაზე; მოთხოვნები სახელმწიფო საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის, მათი გაერთიანებებისათვის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 436. მესამე რიგის გადახდევინება

მესამე რიგში დაკმაყოფილდება გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნები დაგირავებული ქონების ღირებულებიდან ანაზღაურების შესახებ".

„მუხლი 439. გადახდევინება დაგირავებული ქონებიდან

დაგირავებული ქონებიდან გადახდევინება შეიძლება, როდესაც მოვალის სხვა ქონება საკმარისი არ არის მის მიმართ წაყენებული ყველა იმ მოთხოვნის მთლიანად დაკმაყოფილებისათვის, რომელიც გირაოთი არ არის უზრუნველყოფილი.

მოგირავნე, რომელმაც თავისთვის დაიტოვა დაგირავებული ქონება, მოვალეა დაკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომლებსაც უპირატესობა აქვთ მის მოთხოვნასთან შედარებით, მაგრამ იმ ოდენობით, რაც არ აღემატება ამ ქონების ღირებულებას.

მუხლი 440. გადახდევინების განსაკუთრებული წესები

გადახდევინების შესახებ იმ მოთხოვნათა უპირატესი დაკმაყოფილება, რაც დაკავშირებულია რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საჰაერო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის ორგანიზაციების და საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობასთან, წარმოებს სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესებით. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დადგინდეს სხვა მოთხოვნათა უპირატესი დაკმაყოფილების წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის, მათი გაერთიანებებისათვის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საკრედიტო დაწესებულებებში გახსნილი ანგარიშებიდან გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რიგს აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო".

2. 441-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოთხოვნები ალიმენტის გადახდევინების შესახებ და დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი წარმოიშვნენ მსჯავრდებულის ქონების დაყადაღების შემდეგ".

II. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „იმ წესით, რომელიც დადგენილია" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის კანონმდებლობით და".

III. ეს ბრძანებულება ძალაში შევიდეს 1982 წლის 1 იანვრიდან.

დაწესდეს, რომ ამ ბრძანებულების სამოქმედოდ შემოღებამდე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები გადახდევინების შესახებ 1982 წლის 1 იანვრიდან დაკმაყოფილდება აღნიშნული ბრძანებულებით გათვალისწინებული რიგის დაცვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 25 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

221 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„ვადაში შეუტანელი გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის გადახდევინების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებები:

1. 238-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) მოქალაქეებისათვის გადასახადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ".

2. ოცდამეოთხე თავის დასახელება და 248-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავი ოცდამეოთხე

საქმეები მოქალაქეებისათვის გადასახადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ

მუხლი 248. განცხადების შეტანა

განცხადებას მოქალაქეებისათვის გადასახადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ შეიტანს შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო ან ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება ან სახალხო დეპუტატთა სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ან სახელმწიფო დაზღვევის ორგანო სასამართლოში მენარჩენის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით“.

3. 249-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები — „ქონების დაყადაღების აქტი“ და „აქტი ქონების უქონლობის შესახებ და ცნობა სხვა პირებისაგან იმ ფულადი თანხის თაობაზე, რომელიც მათგან მენარჩენეს ერგება“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით — „ქონების აღწერის აქტი“ და „აქტი ქონების უქონლობის შესახებ; ცნობა სხვა პირებისაგან იმ ფულადი თანხის თაობაზე, რომელიც მათგან მენარჩენეს ერგება ქონების უქონლობის შემთხვევაში ან როდესაც იგი საკმარისი არ არის ნარჩენების დასაფარავად“.

4. 250-ე მუხლში:

ა) პირველ ნაწილში სიტყვები — „ქონების დაყადაღება შეესაბამება თუ არა სსრ კავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის შესახებ“ შეიცვალოს სიტყვებით — „ქონების აღწერა შეესაბამება თუ არა სსრ კავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს ვადაში შეუტანელი გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის გადახდევინების შესახებ“.

ბ) მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ სასამართლო დაეჭვდება გადასახდელის ოდენობის გამოანგარიშების სისწორეში, იგი თავისი განჩინებით შეაჩერებს საქმის წარმოებას და მასალებს შესამოწმებლად გადაუგზავნის გადამხდევინებელ ორგანოს. საქმის წარმოება განახლდება საგადამხდელო ორგანოს მიერ გადასახდელის გადაანგარიშების შემდეგ ან თუ განცხადება გადახდევინების შესახებ დადასტურებული იქნება ზემდგომი ორგანოს მიერ“.

5. 251-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლო, დაადგენს რა ნარჩენის გადახდევინების მოთხოვნის კანონიერებას, გამოიტანს გადაწყვეტილებას მენარჩენისაგან ქონების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოში წარდგენილი ქონების აღწერის აქტის თანახმად, ხოლო ქონების უქონლობის შემთხვევაში ან როდესაც ეს ქონება საკმარისი არ არის ნარჩენის დასაფარავად — გადახდევინების შესახებ იმ თანხიდან, რომელიც მენარჩენეს სხვა პირებისაგან ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ქონების აღწერის აქტში შეტანილია ქონება, რომლიდანაც კანონიერად არ შეიძლება გადახდევინება, სასამართლო ამ ქონებას ათავისუფლებს ყადაღისაგან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

222 „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

1. დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“.

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“ მიენიჭებათ პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაკებს, პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებს, რომლებმაც პარტიული პროპაგანდის, მარქსისტულ-ლენინური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით სკკპ პოლიტიკის, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებაში.

3. ამასთან დაკავშირებით:

„საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების“ I განყოფილებას 22-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს „22ა. საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“, ხოლო II განყოფილებას 22-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს „22ა. საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი — პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაკებს, პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებს, რომლებმაც პარტიული პროპაგანდის, მარქსისტულ-ლენინური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ნაყოფიერად იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა, მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით სკკპ პოლიტიკის, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებაში“.

მეორე განყოფილებაში 27-ე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საუკეთესო ლექტორებს და პროპაგანდისტებს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

223 **სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოში მეტროლოგიური სამსახურის 75 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“:**

დარჯანიას ციალა სვეტრიანეს ასულს — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსს.

დიორტკინას ლინა დიმიტრის ასულს — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსს.

ლომიძეს თამაზ ამირანის ძეს — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსს.

მაჩაიძეს ანზორ აფრასიონის ძეს — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსს.

შარაშენიძეს იზაბელა ნიკოლოზის ასულს — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სექტორის უფროსს.

ჭელაგანიძეს ნოდარ ემანუილის ძეს — მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საქართველოს ცენტრის დირექტორის მოადგილეს.

ჯიჯეიშვილს ალექსანდრე ისიდორეს ძეს — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 1 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

224 **ამხ. ს. მ. იცკოვიჩისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოში მეტროლოგიური სამსახურის 75 წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფო

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი“

გონგაძეს დავით დიომიდეს ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ვაჭრობის სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

გრიგორიანს გრიგოლ არკადის ძეს — თადარიგის პოლკოვნიკ-ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

227 რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოების მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“** მიენიჭოთ:

ბართიშვილს ერისტო სიმონის ძეს — ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელს.

გაგლოევს სამბი დავითის ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის ვანყოფილების უფროსს.

თამაზაშვილს დავით ხასანის ძეს — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

თუთბერიძეს ელისაბედ ივლიანეს ასულს — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

კაციტაძეს ოთარ ქრისტეფორეს ძეს — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარ რედაქტორს.

ლაკობას შამილ ნიკოლოზის ძეს — აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრს.

მაღლაკელიძეს სერგო კონსტანტინეს ძეს — ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორჩილავას ქსენია ელიზბარის ასულს — გეგეჭკორის რაიონის ნოტარიუსს.

ჭუმბურიძეს ლილი სავლეს ასულს — ქ. თბილისის მე-3 ნოტარიალური კანტორის ნოტარიუსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

228 რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

ბურჯანაძეს მერი გრიგოლის ასულს — ქუთაისის ავეჯის კომბინატის მთავარ ეკონომისტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ედილაშვილს შალვა სიმონის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსკიავეჯპროექტის“ ავეჯის დაპროექტების განყოფილების ტექნოლოგიური სექტორის გამგეს.

ზახაროვას ალექსანდრა ალექსის ასულს — თბილისის საწარმოო-საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ მთავარ ტექნოლოგს.

ჩიჩუას ირაკლი ვარდენის ძეს — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილეს.

ჯანელიძეს ილია იაკობის ძეს — სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს „სახტყეტრანსპროექტის“ საქართველოს ფილიალის მთავარ ინჟინერს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

არჩვაძეს ნოდარ ვარლამის ძეს — თბილისის ხის დამმუშავებელი კომბინატის მეჩარხეს.

გოცირიძეს ვლადიმერ ვიქტორის ძეს — ახმეტის სატყეო მეურნეობის ტყის კულტურების ოსტატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდონაიას ალექსანდრე ერასტის ძეს — ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის საწარმოო სწავლების ოსტატს.

რუსანოვს რუდოლფ გიორგის ძეს — თბილისის საწარმოო-საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ ბრიგადირს.

სეთურს ლევან ალექსანდრეს ძეს — თბილისის საწარმოო-საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ დურგალს.

სიზინცევას კლავდია ივანეს ასულს — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მხეხავს.

ჩეხაშვილს ვახტანგ ზაქარიას ძეს — თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის დურგალს.

ჩიჩაგუას მურად ვლადიმერის ძეს — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის დურგალს.

•

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1981 წლის 28 სექტემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

229 სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოში მეტროლოგიური სამსახურის 75 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

გეგეშიძე მურზაყან ვალერიანის ძე — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გილაური ელზა კალისტრატეს ასული — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი.

დემეტრაძე ანზორ ბიძინას ძე — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი.

კრინი ეფიმ სამოილის ძე — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი ინჟინერი.

კუგუშევა ალა კირილის ასული — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდრიავცევა ვალენტინა მიხეილის ასული — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მთავარი ბუხჰალტერი.

ტოპუზისი ლარისა ბორისის ასული — სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 1 სექტემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

230 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ოლქის სამხედრო მოსამსახურენი:

ბორზოვი ბორის დიმიტრის ძე — პოლკოვნიკი.

გეტალენკო ვლადიმერ ივანეს ძე — პოლკოვნიკი.

გორბატინი ვიაჩესლავ სტეფანეს ძე — ავიაციის გენერალ-მაიორი.

ვინჩეგოვი გენადი ნიკოლოზის ძე — პოლკოვნიკი.

ზამაი ვალერი კონსტანტინეს ძე — პოლკოვნიკი.

კულიაპინი ვალენტინ ალექსანდრეს ძე — კაპიტანი.

მელნიკი ევგენი პეტრეს ძე — პოდპოლკოვნიკი.

მირონიუკი ვიქტორ სპირიდონის ძე — გენერალ-მაიორი.

ნაჭყებია ოთარ მიხეილის ძე — პოლკოვნიკი.

ნეჩიტაილო ვიტალი მიხეილის ძე — პოდპოლკოვნიკი.

პანჩენკო ვალენტინ პავლეს ძე — პოლკოვნიკი.

რომანენკო მიხეილ ალექსის ძე — პოდპოლკოვნიკი.

შარი კვენტინ მიხეილის ძე — პოლკოვნიკი.

შუბინი ედუარდ ალექსის ძე — პოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

231 ამხ. თ. ი. კოღლონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ამხ. თამარ ივანეს ასული კოღლონია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო** სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

232 ამხ. ქ. კ. ლაცაბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიონის მეორე მდივანი ამხ. ქეთევან კონსტანტინეს ასული **ლაცაბიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

233 ამხ. გ. ს. მორჩაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაერთიანება „საქბოსტანჯიმთესლის“ უფროსი ამხ. გია სერგოს ძე **მორჩაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

№ 10/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

234 ამხ. ნ. ი. სხირტლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **სხირტლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი **საბ**ჭოს **პ**რ**ე**ზ**ი**დ**ი**უ**მ**ის თ**ა**ვ**მ**ჯ**დ**ომ**ა**რ**ე** პ. **გ**ი**ლ**ა**შ**ვ**ი**ლ**ი**.
საქართველოს სსრ უმაღლესი **ს**აბ**ჭ**ოს **პ**რ**ე**ზ**ი**დ**ი**უ**მ**ის **მ**დ**ივ**ა**ნ**ი** თ. **ლ**ა**შ**ქ**ა**რ**ა**შ**ვ**ი**ლ**ი**.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

235 ამხ. პ. ი. შამათავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პეტრე იულონის ძე **შამათავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ **უ**მ**ა**ღ**ლ**ესი **ს**აბ**ჭ**ოს **პ**რ**ე**ზ**ი**დ**ი**უ**მ**ის **თ**ა**ვ**მ**ჯ**დ**ომ**ა**რ**ე** პ. **გ**ი**ლ**ა**შ**ვ**ი**ლ**ი**.
საქართველოს სსრ **უ**მ**ა**ღ**ლ**ესი **ს**აბ**ჭ**ოს **პ**რ**ე**ზ**ი**დ**ი**უ**მ**ის **მ**დ**ივ**ა**ნ**ი** თ. **ლ**ა**შ**ქ**ა**რ**ა**შ**ვ**ი**ლ**ი**.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

236 ამხ. რ. ტ. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეურნეო მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრის მოადგილე ამხ. რევაზ ტარასის ძე ჩხაიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

237 ამხ. ო. მ. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით **საქართველოს** სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე ამხ. ოთარ მიხეილის ძე ჯაფარიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

238 საქალაქო გაზეთ „ტუიბულის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქალაქო **გაზეთი „ტუიბული“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 23 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

239 ამხ. ს. მ. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით. საქალაქო გაზეთ „ტყიბულის“ რედაქტორი ამხ. სიმონ მიხეილის ძე **მერკვილაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

240 ამხ. ფ. მ. დიასამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ქედის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფრიდონ მურადის ძე **დიასამიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

241 რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:**

ბოხუა ავთანდილ შალვას ძე — სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის ხარატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგოლაევი შალვა შალვას ძე — თბილისის საწარმოო-საარჯო გაერთიანება „განთიადის“ გენერალური დირექტორი.

გუბატოვა გალინა ლეონიდეს ასული — ბაბუშარის ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშა.

კოპალეიშვილი ვარლამ ლავრენტის ძე — სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორი.

კუსიდი პეტრე პანაეთის ძე — ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის დურგალი.

მინესაშვილი გლახო მინესას ძე — ქუთაისის ავეჯის კომბინატის მუშა.

მკრტუმიანი ალექსანდრე არშაკის ძე — თბილისის სარკისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატის გამმართველი.

მუქერია ციალა ალექსანდრეს ასული — ქუთაისის ავეჯის კომბინატის მუშა.

სოლოდაშვილი ომარ ზაქარიას ძე — თბილისის № 3 ავეჯის ფაბრიკის მეჩარხე.

ტაბატაძე უშანგი გიორგის ძე — მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა.

ფალავა გიორგი გიორგის ძე — ექსპერიმენტული ავეჯის ფაბრიკის ავეჯის გადამკვრელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1981 წლის 28 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

242 სსრ კავშირის მცირე თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1981 წლის სექტემბერში თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **სსრ კავშირის ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

243 სსრ კავშირის მცირე თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1981 წლის სექტემბერში თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** სსრ კავშირის ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წევრები:

ანენკოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ბეილისი ვლადიმერ მიხეილის ძე — რეჟისორი.

ბისტრიცკაია ელინა აბრამის ასული — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

გოგოლევა ელენე ნიკოლოზის ასული — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

გოსტინსკი გერმან მიხეილის ძე — თეატრის დირექტორ-განმკარგულებლის მოადგილე.

ვესნიკი ევგენი იაკობის ძე — რსფსრ სახალხო არტისტი.

იაკუბოვსკი ვლადიმერ იოსების ძე — რსფსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, დირექტორის მოადგილე ტექნიკურ ნაწილში.

ილინსკი იგორ ვლადიმერის ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

კორნიენკო ნელი ივანეს ასული — რსფსრ სახალხო არტისტი.

კორშუნოვი ვიქტორ ივანეს ძე — რსფსრ სახალხო არტისტი.

კუმანკოვი ევგენი ივანეს ძე — რსფსრ სახალხო არტისტი.

ლვოვ-ანოხინი ბორის ალექსანდრეს ძე — რსფსრ დამსახურებული არტისტი.

ლუბეზნოვი ივანე ალექსანდრეს ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მერაბოვი რაფაელ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი.

ნიფონტოვა რუფინა დიმიტრის ასული — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

პოდგორნი ნიკიტა ვლადიმერის ძე — რსფსრ სახალხო არტისტი.

რიეკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

სადოვსკი პროკ პროვის ძე — რსფსრ დამსახურებული არტისტი.

სამოილოვი ევგენი ვალერიანის ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

სვირიდოვი გიორგი ვასილის ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი.

სოლომინი ვიტალი მეთოდეს ძე — რსფსრ დამსახურებული არტისტი.

სოლომინი იური მეთოდეს ძე — რსფსრ დამსახურებული არტისტი.

ცარიოვი მიხეილ ივანეს ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეფიცი ლეონიდე ეფიმის ძე — რეჟისორი.
ხოხრიაკოვი ვიქტორ ივანეს ძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშჭარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 29 სექტემბერი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

„მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 25 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად და სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფართო პროგრამისა და მომჭირნეობის, ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების აუცილებლობის შესახებ ქ. თბილისში ზეიმზე გამოსვლებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მოცემული მითითებების წარმატებით რეალიზაციაში სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი ორგანოების როლის შემდგომი ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 1 სექტემბერს მიიღო დადგენილება, რომელითაც აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ იხელმძღვანელონ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნებით, ამხანაგ ლ. ი ბრეჟნევის მითითებებით ყველა სახის მატერიალური რესურსების მომჭირნე და ეფექტიანი გამოყენებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ, გამოიყენონ „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის დადგენილებით მინიჭებული უფლებები და ყველგან ფართოდ გაშალონ მოძრაობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, რისთვისაც:

— შეიმუშაონ მატერიალური რესურსების მომჭირნე და ეფექტიანი გამოყენებისათვის საბრძოლველად მშრომელთა მობილიზაციის ორგანიზაციულ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე რეგულარულად განხილონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობებში, არასაწარმოო სფეროსა და ყოფა-ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის უზრუნველსაყოფად, ნედლეულისა და მასალების ნარჩენებისა და დანაკარგების შესამცირებლად, მეორადი რესურსების შეგროვების გაუმჯობესებლად და გამოსაყენებლად მუშაობის მიმდინარეობა;

— გაძლიერონ კონტროლი მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ნედლეულის რესურსების მომჭირნე და რაციონალური გამოყენების შესახებ მოთხოვნათა შესასრულებლად გაწეული საქმიანობისადმი;

— მიაღწიონ იმას, რომ ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ფართოდ დაინერგოს მეურნეობის ინტენსიური გაძღოლისა და ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენების მეთოდები;

— ფართოდ დაუჭირონ მხარი ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის, მასალებისა და მოწყობილობის რაციონალური გამოყენებისათვის მოძრაობის ინიციატორებს;

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დეპუტატთა, ყველა საფეხურის საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების მუშაობის გაქტიურებას, მიაღწიონ იმას, რომ თავიანთ უბნებზე სწორედ დეპუტატები თაოსნობდნენ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის მოძრაობას;

— განახორციელონ მუდმივი კონტროლი სასურსათო პროდუქტების წარმოების, გაყიდვისა და გამოყენებისადმი;

— აამაღლონ მომთხოვნელობა სასოფლო-სამეურნეო, საკაჭრო და დამამზადებელი ორგანიზაციებისადმი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საიმედო შენახვისათვის;

— უზრუნველყონ მოსახლეობაში საცხოვრებელი, სამუშაო და სწავლის ადგილის მიხედვით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება სათბობის, ელექტროენერგიის, წყლის, გაზის, საკვები პროდუქტების, განსაკუთრებით პურის, მომჭირნე და რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ფართოდ მიიზიდონ ამ მუშაობაში დეპუტატები და აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყველა საფეხურის საბჭოების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის განხორციელება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული სახალხო მეურნეობისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

25 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო საკითხს „მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“. მოხსენებით გამოვიდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თ. შ. ქაბულოვა.

აღინიშნა, რომ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ოლქის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისა და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეს.

1981 წლის შვიდი თვის შედეგების მონაცემებით ოლქის წარმოება-დაწესებულებებში დაზოგილია 2,5 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია, 4,5 ტონა საწვავი, 3,6 ტონა შავი ლითონის სხმული. რკინიგზის ტრანსპორტზე 6,1 პროცენტით შემცირდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისათვის დროის დანაკარგები, ხოლო 8,6 პროცენტით — ვაგონების მოცდენა.

ამასთან ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი ორგანოების საქმიანობა მომჭირნეობისა და მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენების დარგში ჯერ კიდევ არასაკმარისია.

საბჭოები სათანადოდ არ წარმართავენ აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ღონისძიებებს მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტების დაზოგვის უზურნველსაყოფად.

ოლქის საწარმოებში კვლავ მაღალია სამრეწველო პროდუქციის ერთეულზე ნედლეულისა და ენერგიის დანახარჯების მაჩვენებელი. ადგილი აქვს წარმოებისა და შენახვის პროცესში ლითონის, ხე-ტყის, ცემენტის, სასუქისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდძალ დანაკარგებს. ძალზე ნელი ტემპით მცირდება თვითღირებულება და სატრანსპორტო ხარჯები. არ ექცევა ყურადღება რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიის შემუშავებასა და დანერგვას. არ არის გაშლილი მშრომელთა მასობრივი მოძრაობა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. ტრანსპორტზე, მშენებლობაში, არამწარმოებლურ სფეროში, ყოფა-ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის. ოლქის საწარმოთა დიდი ნაწილი არარენტაბელურად მუშაობს. სათანადო ყურადღება არ ექცევა სამუშაო დროის დანაკარგებთან ბრძოლას.

ოლქის სამშენებლო ორგანიზაციებში ხშირია უყაირათობის და სამშენებლო მასალებისა და სხვა მატერიალური სახსრების განიავების ფაქტები. მოუ-

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქნელი სამეურნეო საქმიანობის შედეგად ჯარიმის სახით იხარჯება ათასობით მანეთი.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში, დაბალია შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა.

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები ურიგდებიან აღნიშნულ მდგომარეობას; ისინი ზოგჯერ ფორმალურად იხილავენ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს; მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მოკლებულია კონკრეტულობას და ხშირად უშედეგოა: არსებითად არ წარმართავენ შრომით კოლექტივებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებას მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად, მეურნეობის რაციონალური გაჭღლისა და მატერიალური რესურსების მომჭირნე გამოყენებისათვის, საფინანსო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალება მისცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ადგილობრივ საბჭოებს.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ სრულყონ მუშაობა ნედლეულის, ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების მომჭირნედ და რაციონალურად გამოყენებისათვის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

*

* *

მოისმინა და განიხილა რა სმტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლ. ჩხეიძის ინფორმაცია სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის სმტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა რაიონის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი, არ ტარდება საჭირო ღონისძიებები პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ყურადღება არ ექცევა შრომის მოწინავე მეთოდების, ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის, მეცნიერული მიღწევებისა და რეკომენდაციების წარმოებაში დანერგვას, მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა სამტრედიის რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო მუშაობას არ ეწევა პროდუქციის ხარისხის საკითხებზე კანონმდებლობის შესასრულებლად. საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი ჩაბმული არ არიან გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის განხორციელებაში. წარმოების მოდერნიზაციის, შრომის ორგანიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხები ნაკლებად იხილება საბჭოს სესიებზე, აღმასკომისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე.

ჯერ კიდევ უმნიშვნელოა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში.

უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების ფაქტები მეტწილად განპირობებულია საწარმოო-ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის დარღვევით. რაიონის საწარმოებში ხშირია სამუშაოს გაცდენისა და დაგვიანების ფაქტები. დიდია კადრების დენადობა. ბევრ საწარმოში ეფექტიანი ბრძოლა არ წარმოებს წუნის მკეთებლების წინააღმდეგ.

გადამწყვეტ ზომებს არ ღებულობენ უხარისხო ნაწარმის დამზადებისა და გამოშვებისათვის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პირადი პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.

სათანადო მუშაობა არ წარმოებს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საწარმოებში შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, დაბალ დონეზეა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც, ყველა მათგანზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შეთავსებით მუშაობის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა შ. ბერიანიძემ.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

* * *

მრეწველობის კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი მასობრივი მოთხოვნილების საქონლის ადგილობრივი რესურსების გამოყენებით წარმოების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა გ. ლოლაძემ.

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სათანადო რეკომენდაციები მიეცათ შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის ამხ. ვ. კობახიძის მოხსენება „რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა ნ. ნეფედოვმა.

განხილულ საკითხზე კომისიამ სათანადო რეკომენდაციები მისცა კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ცეკავშირს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების დონის ამაღლებას.